

ს/ს "სტანდარტბანკი"

ფინანსური ანგარიშგება

*2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად*

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისურ ენაზე შესრულებული ორიგინალის
თარგმანს

შინაარსი**დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა**

საბალანსო ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	6
2. შედგენის საფუძვლები	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განუსაზღვრელობანი	12
5. ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	13
6. მითხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	13
7. კლიენტებზე გაცემული სესხები	13
8. გადასანადები	14
9. გაუფასურების რეზერვი	15
10. ძირითადი საშუალებები	15
11. არამატერიალური აქტივები	16
12. სხვა აქტივები და ვალდებულებები	16
13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	17
14. ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეთა მიმართ	17
15. ვალდებულებები შეანაზრეთა მიმართ	17
16. კაპიტალი	18
17. პირობითი ვალდებულებები	18
18. ხელფასები და ადმინისტრაციული ხარჯები	19
19. რისკების მართვის პოლიტიკა	19
20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	23
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
22. კაპიტალის ადეკვატურობა	26

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს სტანდარტბანკის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს –

ჩაუტარეთ სს "სტანდარტბანკის" (შემდგომში "ბანკი") თანდართული საბალანსო ანგარიშგების აუდიტი 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების აუდიტი ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ბანკის წელმდგანელობა. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მისაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს ტესტირების საფუძველზე მტკიცებულებების შემოწმებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხებისა და ანხნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წელმდგანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შემოწმებას, აგრეთვე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნული ფინანსური ანგარიშგება უტყუარია და სამართლიანად ასაჩვენებს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2006 წლის 3 აპრილი

საბალანსო ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

	Notes	2005	2004
აქტივები			
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები	5	2,257	3,816
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	6	860	271
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	18,978	5,575
ძირითადი საშუალებები	10	831	639
არამატერიალური აქტივები	11	205	14
საგადასანადო აქტივები	8	245	161
სსგა აქტივები	12	187	117
სულ აქტივები		23,563	10,593
გაღდებულებები			
გაღდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	13	1,610	-
გაღდებულებები დაკავშირებულ მხარეთა მიმართ	14	7,200	-
გაღდებულებები შენაბრეთა მიმართ	15	7,326	2,422
გაღდებულებები სასწავლო დაწესებულებების მიმართ		-	1,000
სსგა გაღდებულებები	12	115	74
სულ გაღდებულებები		16,251	3,496
კაპიტალი	16		
საწესდებო კაპიტალი		6,900	6,900
გაუნაწილებელი მოგება		412	197
სულ კაპიტალი		7,312	7,097
სულ კაპიტალი და გაღდებულებები		23,563	10,593
ბირობითი ფინანსური გაღდებულებები	17	1,097	514

ბანკის დირექტორთა საბჭოს სასწავლო სელმოწერილია და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად:

გიორგი კალანდარიშვილი

გენერალური დირექტორი

ირინა ვორმანი

მთავარი ბუღალტერი

2006 წლის 3 აპრილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

	<i>შენიშვნები</i>	2005	2004
საპროცენტო შემოსავალი			
სესხები		2,908	1,376
მთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი		83	36
ფასიანი ქაღალდები		1	199
		2,992	1,611
საპროცენტო ხარჯი			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		413	20
ვალდებულებები მეანაბრეთა მიმართ		306	64
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეთა მიმართ		29	-
		748	84
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		2,244	1,527
საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურება	9	223	58
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივების გაუფასურებიდან		2,021	1,469
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან		165	153
საკომისიო ხარჯები		124	37
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან		41	116
უცხოური ვალუტიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალი:			
- გარიგებებიდან		132	73
- საკურსო სწვობებიდან		(80)	(836)
სსგა შემოსავალი		227	7
სსგა არასაპროცენტო შემოსავალი (ხარჯი)		279	(756)
სელფასები და თანამშრომელთა სსგა ხარჯი	18	1,044	923
ადმინისტრაციული ხარჯები	18	927	572
ცკუთა და ამორტიზაცია	10, 11	199	150
სსგა აქტივების გაუფასურება	9	40	19
სსგა არასაპროცენტო ხარჯი		2,210	1,664
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგრამდე		131	(835)
მოგების გადასახადის სარგებელი	8	84	22
წმინდა მოგება (ზარალი)		215	(813)

მოგება-ზარალის ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება	სულ
2003 წლის 31 დეკემბერი	6,900	1,010	7,910
წლის წმინდა ზარალი	-	(813)	(813)
2004 წლის 31 დეკემბერი	6,900	197	7,097
წლის წმინდა მოგება	-	215	215
2005 წლის 31 დეკემბერი	6,900	412	7,312

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

	<u>შენიშვნები</u>	<u>2005</u>	<u>2004</u>
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტები		2,898	1,611
გადახდილი პროცენტები		(676)	(84)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		165	153
გადახდილი საკომისიო		(124)	(37)
საგალოტო ვარიანტებიდან მიღებული მოგება		132	73
სწვა საოპერაციო მოგება (ზარალი)		(46)	7
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სარგო		(1,044)	(923)
ადმინისტრაციული ხარჯები		(927)	(572)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		378	228
<i>საოპერაციო აქტივების ზრდა /კლება (წმინდა)</i>			
საგალოტო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		-	(208)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(662)	1,003
კლიენტებზე გაცემული სესხები		(13,599)	184
სწვა აქტივები		(71)	221
<i>საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/კლება (წმინდა)</i>			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		8,810	-
ვალდებულებები მყანაბრეთა მიმართ		4,951	1,672
ვალდებულებები სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ		(1,000)	(1,029)
სწვა ვალდებულებები		(13)	(4)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,206)	2,067
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(88)
წმინდა თანხები საოპერაციო საქმიანობიდან (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)		(1,206)	1,979
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შექენა		(604)	(97)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი		487	14
არამატერიალური აქტივების შექენა		(160)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შექენა		(14)	-
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან/გამოსყიდვიდან მიღებული შემოსავლები		-	1,195
წმინდა თანხები საინვესტიციო საქმიანობიდან (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)		(291)	1,112
წმინდა თანხები საქმიანობიდან (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)		-	-
<i>საგალოტო კურსის ცვლილების გავლენა ნაღდ ფულსა და ფულად ეკვივალენტებზე</i>		(62)	(47)
ნაღდი ფულისა და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება		(1,559)	3,044
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები, წლის დასაწყისისათვის		3,816	772
ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები, წლის ბოლოსათვის	5	2,257	3,816

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ს/ს "სტანდარტბანკი" ("ბანკი") ჩამოყალიბდა 2005 წლის 7 ივნისს, სს "საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკის" ბაზაზე, რომლის აქციათა 100% შესყიდულ იქნა ოფშორულ კომპანიათა მიერ. საბანკო საქმიანობის წარმოებისათვის აუცილებელი ზოგადი ლიცენზია საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკმა საქართველოს ეროვნული ბანკისგან (სებ) მიიღო 1999 წლის 10 დეკემბერს. ბანკმა საქმიანობა დაიწყო 2000 წლის 21 თებერვალს. საქართველოს აგრო-ბიზნეს ბანკი დაფუძნებულ იქნა საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სულსეფციობის მიზნით, რასთან მიმართებაშიც, აღნიშნულ სექტორში დასაქმებულ ფერმერებსა თუ სხვა კომპანიებს/ფიზიკურ პირებს სთავაზობდა დაფინანსებას ეროვნულ ვალუტაში შედარებით დაბალ ტარიფად.

ბანკი დებულობს ანაბრებს მისასწავლებელს და გასცემს სესხებს, აწარმოებს გადაიხსნებს საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ, ვალუტის გადაცვლას და თავის კომერციულ და ინდივიდუალურ კლიენტებს სთავაზობს საბანკო მომსახურებას. მისი მთავარი ოფისი მდებარეობს თბილისში, სოლო საქართველოს ტერიტორიაზე - 6 ფილიალი. ბანკის ოურიდული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 43.

2005 და 2004 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მფლობელებს წარმოადგენდნენ:

შპს. "Discovery Investment Holding"	25%
Lucente Investments Inc.	25%
Webster Group Inc.	25%
შპს. "Westfor Panally"	25%
სულ	100%

ბანკის მთავარ აქციონერს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე - ბნ. ბადრი პატარკაციაშვილი.

2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში დასაქმებული იყო 71 თანამშრომელი (2004-59)

2. შედეგის საფუძვლები

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილ იქნა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად. მარეგულირებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბანკს აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოება მოეთხოვება ლარში, ფასს-ის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება ბანკის ფასს-ს შესაბამისად კორექტირებულ და რეკლასიფიცირებულ აღრიცხვას.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ისტორიული ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განმარტებულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუკი სწავგარად არ იქნა მითითებული.

შეფასებების, დაშვებებისა და შესწავლებათა გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების შედგენა სელმდგანელობისგან მოითხოვს იმგვარ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გააღწეა აქვთ წარმოდგენილ თანხებზე. ამგვარი დაშვებები ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებულ ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაბამისად შესაძლოა განსწავგებოდეს ამგვარი დაშვებებისგან.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

არსებული სააღრიცხვო პოლიტიკა არის წინა წლის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისი, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბანკის მიერ მიღებულ იქნა ახალი/შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც საგაღდებულია 2005 წლის 1 იანვარს (2005 წლის 1 იანვრის შემდგომ) დაწყებული ფინანსური წლისათვის.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოწვეულია შემდეგი ახალი თუ შეცვლილი სტანდარტების მიღებით:

- ბასს 21 (შეცვლილი) "უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები";
- ბასს 24 (შეცვლილი) "დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები";
- ბასს 32 (შეცვლილი) "ფინანსური ინსტრუმენტები: ახსნა-განმარტებები და წარდგენა"; და
- ბასს 39 (შეცვლილი) "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება";
- ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" (ცვლილებები შევიდა 2004 წელს)

რეალური ღირებულებით გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების გადაფასებით გამოწვეული მოგება/ზარალი აღრიცხულია კაპიტალის ცვლკეულ კომპონენტად. გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული მოგება თუ ზარალი აღრიცხულ უნდა იქნას კაპიტალში (კაპიტალის ინსტრუმენტების გაუფასურებით გამოწვეული ზარალის შებრუნების ჩათვლით), კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღრიცხვით, გარდა გაუფასურების ზარალისა და

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

საკურსო სწავლით გამოწვეული მოგება-ზარალისა, ვიდრე ფინანსური აქტივი ჩამოიწერებოდეს, ამ შემთხვევაში კაპიტალში აღრიცხული აკუმულირებული მოგება თუ ზარალი აღრიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტი აღრიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გასაყიდად არსებული კაპიტალის ინსტრუმენტების დივიდენდები აღრიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც დადგენილია საწარმოს მიერ თანხის მიღების უფლება.

"ფასს" და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციები, რომლებიც ძალაში არ არის შესულია

ბანკს არ მიუღია შემდეგი "ფასს" და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემულ იქნა, მაგრამ ძალაში არ შესულა:

- ბასს 19 (ცვლილებები შესულია 2004წ.) "დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები";
- ბასს 21 (ცვლილებები შესულია 2005 წ.) "უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები";
- ბასს 39 (ცვლილებები შესულია 2005 წ.) "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება";
- ფასს 7 "ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებები";
- ფასს 4 "განსაზღვრება იმისა, გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება ფინანსურ იჯარას";
- ფასს 5 "გარემოს რეაბილიტაციის, აღდგენისა და ჩამოწერის ფინანსური წარმოშობის მითითებები";

ბანკს მიაჩნია, რომ ზემოთაღნიშნულის ძალაში შესვლა არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე უშუალოდ ძალაში შესვლის პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური აქტივები

ბუღალტრული აღრიცხვის 39 სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მითხოვნებად, ვადაძლე ფლობდ ფასიან ქალაქდებად თუ გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარეგნობისთან დაკავშირებული წარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ აისახება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ არა მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. ბანკი განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

როგორც წესი ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკი შეისყიდის აქტივს. ჩვეულებრივ, ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მითითებულ აქტივის მიტანას დაინშულებების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირდება პერიოდში.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით

სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივები შესულია კატეგორიაში "ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით". ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია როგორც სავაჭროდ ფლობილი იმ შემთხვევაში თუ ისინი შექმნილია ახლი მომავალში გაყიდვის მიზნით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აგრეთვე კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, თუკი ისინი განსაზღვრება როგორც ეფექტური შეჯირების ინსტრუმენტები. სავაჭროდ ფლობილი ფინანსური აქტივებიდან მოგება-ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები

ფინანსური აქტივები რომლებიც არ წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ვადა კლასიფიცირდებიან როგორც ვადაძლე ფლობილი როდესაც ბანკს შესწევს მათი ვადაძლე ფლობის უნარი. ეს განსაზღვრება არ მოიცავს განუსაზღვრელი ვადის მქონე ინვესტიციებს. ვადაძლე ფლობილი ინვესტიციები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით. ეს ღირებულება გამოითვლება როგორც თავდაპირველად აღიარებულ თანხას გამოკლებული ყველა შემდგომი დაფარვა, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია რომელიც გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ თანხას და ვადის ამოწურვისას არსებულ თანხას შორის სწავლობისთან მიმართებაში. ეს გამოთვლა მოიცავს ნებისმიერ გასამრჯელოსა და მიღებულ თუ გადახდილ თანხებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით, რომლითაც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ოპერაციის საკომისიო და სხვა პრემიები თუ ფასდაკლებები. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ინვესტიციებისათვის, მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ხდება ინვესტიციის ჩამოწერა, ან გაუფასურება, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და მითხოვნები

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი, რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ასეთი აქტივები აღრიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად ან არ არის გათვალისწინებული ზემოთაღნიშნულ სამ კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებისა და ზარალის ცალკეულ კომპონენტად აღიარებით კაპიტალში, ინვესტიციის ჩამოწერამდე თუ გაუფასურებამდე, როდესაც კაპიტალში აღრიცხული აკუმულირებული მოგება თუ ზარალი აღრიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ბაზარზე გასაყიდად არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული საბაზრო ფასდადებით ბალანსის შედგენის დღეს. ინვესტიციებისათვის, რომელთა საბაზრო პირობებთან შედარებაც ვერ ხერხდება, სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ამგვარი მეთოდი გულისხმობს სამართლიან პირობებზე დაყრდნობით წარმოებული უწინარი საბაზრო გარემოების გამოყენებას, მსგავსი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო ღირებულების განსაზღვრას და ფულადი ნაკადების ანალიზს.

გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით საბალანსო ანგარიშგებაში აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის თარიღული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის ზრანგა, ან ზრანგა მონდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ფულადი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, მოთხოვნების ერთგული ბანკისადმი (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო ინსტიტუტებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც გააჩნიათ გამოცემიდან 90 დღიანი ვადა და თავისუფალი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

სესხები

სესხები რომლებიც მოიცავენ ვალდებულებებს ერთგული ბანკისა და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ თუ შენაბრების მიმართ, სასესხო ვალდებულებების სახით გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს და სხვა სესხებს, აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება შესაბამისი სათბერაციო საკომისიო. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, სესხების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის მოგებაში აღიარება ხდება ვალდებულების ჩამოწერისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

იჯარა

საოპერაციო - ბანკი როგორც მოიჯარე

აქტივების იჯარა, რომელთან მიმართებაშიც მფლობელობის რისკებაცა და ანაზღაურებაც არის მოიჯარის ხელში კლასიფიცირებულია როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო გადასახადი აისახება წრფივი მეთოდით როგორც ხარჯი გრძელვადიან პერიოდში და შესულია აღმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

საოპერაციო - ბანკი როგორც იჯარით გამცემი

ბანკი ასახავს საოპერაციო იჯარით დასაბეგრ აქტივებს საბალანსო ანგარიშგებაში აქტივის ტიპის შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდში როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის შეთანხმებული წამახალისებელი ფაქტორების ღირებულება აისახება როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება იჯარის პერიოდში წრფივი მეთოდით. თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები რომლებიც წარმოშობილია სპეციფიკურად შემოსავლის მისაღებად საოპერაციო იჯარიდან ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

ბანკი საბალანსო ანგარიშგების შედგენის დღეს აღრიცხავს ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურებას.

ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივები

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

თუ მისალოდნელია ამორტიზირებული ღირებულებით ასახული აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ზარალის მოცულობა ასახება როგორც სწავობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საგარეულო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია) რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ა. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაანგარიშებულია თავდაპირველი ადიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შეცვლა შესაძლებელია რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უზრუნველყოფის მქონე ფინანსური აქტივის მისალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშება ასახავს იმ ფულად ნაკადებს, რომლებიც შესაძლოა გამოწვეულ იყოს უზრუნველყოფის გამოყენებით, გამოკლებული უზრუნველყოფის მოხთვებასა და მის შემდგომ რეალიზაციაზე გაწეული ხარჯებით, განურჩევლად იმისა, მისალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

თავდაპირველად ბანკი აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების თბიქტური საფუძველი მნიშვნელოვანი გაგლევის მქონე აქტივებისათვის ინდივიდუალურად თუ ამგვარი გაგლევის არმქონე აქტივებისათვის ინდივიდუალურად ან კოლექტურად. თუ დადგინდა, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების თბიქტური საფუძველი, იმისდა მოხედვად, არის თუ არა აღნიშნული აქტივი მნიშვნელოვანი გაგლევის მქონე აქტივის ჩართვა სდება ანალოგიური რისკების მქონე ფინანსური აქტივების ბანკში. აღნიშნული ფინანსური აქტივების ბანკის შეფასება გაუფასურებისთან მიმართებაში სდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურებისთან მიმართებაში შეფასება სდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც სდება გაუფასურების ზარალის აღიარება არ არის ჩართული აქტივების კოლექტური შეფასების პროცესში.

თუ, შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირება და შეცირება შესაძლოა თბიქტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღიარების შემდგომ მოგლევის, სდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შებრუნება ასახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ პირობით, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზირებულ ღირებულებას შებრუნების დეს.

როდესაც სესხი ჩაითვლება უიმედოდ, სდება მისი ჩამოწერა შესაბამისი სესხის გაუფასურების რეზერვიდან. ამგვარი სესხების ჩამოწერა სდება მას შემდეგ, რაც დასრულებდა ყველა საგაღდებულო პროცედურა და მოხდება ზარალის თანხის განსაზღვრა. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღიარება ამცირებს სესხის გაუფასურების რეზერვის თანხას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

როდესაც სდება გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის გაუფასურება, თანხა რომელიც მოიცავს სწავობას აქტივის ღირებულებასა (ყველა შემდგომი წმინდა დაფარვა და ამორტიზაცია) და მის მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის (გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი), რომელიც წინა პერიოდში აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გადაიტანება კაპიტალიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. გასაყიდად არსებულ კაპიტალის ინსტრუმენტებთან მიმართებაში არსებული შებრუნება არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალის შებრუნება სესხის სახით არსებულ ინსტრუმენტებზე სდება მოგება-ზარალის ანგარიშგების გაგლეით თუ ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულების მატება შეიძლება თბიქტურად დაუკავშირდეს გაუფასურების ზარალის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარების შემდგომ მოგლევისას.

ფინანსური აქტივებისა და გაღდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან ზოგ შემთხვევაში ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ბანკის ნაწილის) ჩამოწერა სდება თუ:

- ამოწერა აქტივის მიერ ფულადი ნაკადების შემოტანის გადა;
- ბანკმა გადასცა აქტივის მიერ ფულადი ნაკადების შემოტანის უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირებისათვის გადახდის სასკელსკერულებო გაღდებულება; და
- ბანკის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მოხდარა რისკებისა და სარგებლის გადაცემა თუ აქტივზე კონტროლის გადაცემა, ბანკის მიერ აქტივის აღიარება სდება შემდგომი ფინანსური პრობლემების გათვალისწინებით. შემდგომი ფინანსური პრობლემები გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმით ასახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ბანკის მიერ საგარეულო სკელანალი გადახდის მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

როდესაც წანგრძლივი ფინანსური პრობლემები გადაიზრდება გადაცემულ აქტივზე არსებულ წერილობით და/ან შექმნილ ოფციონად (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ფინანსური პრობლემების წარმომადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომელიც მას შეუძლია გამოსყიდოს, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მსოფლებების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) აქტივზე, რომელიც ასახეობს სამართლიანი ღირებულებით, ბანკის ფინანსური პრობლემების წარმომადგენლებს შეეძლება გადაცემული აქტივების სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის მიმდინარე საბაზრო ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც ვალდებულებები აქტივთან მიმართებაში ბათილდება, გაუქმდება ან ამოწმდება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე იმავე კრედიტორთან თუმცა სხვა პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდფიკაცია მიიჩნევა თავდაპირველი ვალდებულების ჩამოწმად და ახალი ვალდებულების ასახვად, სოლო საბალანსო ღირებულების სხვაობები ასახეობა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება საქართველოს საქადასახადო კოდექსის შესაბამისად.

მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების გამოანგარიშება ხდება ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები წარმოდგენილია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მხნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან თუ აქტივისა და ვალდებულებიდან იმ თეურაციაში, რომელიც არ არის საწარმოს გაერთიანება და თეურაციის თარიღისათვის გაყენას არ იქონიებს სააირცნვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირცხება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგინდა ბალანსის შედგენის დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე ინვესტიციებიდან და შევლობილი კომპანიებიდან, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოებიდან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დროებითი სხვაობის შეტრუნების დროის გაკონტროლება შესაძლებელია და დროებითი სხვაობის შეტრუნება ახლი მომავალში არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედება სხვადასხვა სათეურაციო გადასახადი დაკავშირებული ბანკის საქმიანობისთან. ეს გადასახადები ჩართულია სხვა სათეურაციო ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირცხვლია საბალანსო ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულებას როდესაც ხარჯი წარმოიშობა და თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შენობა ნაგებობები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება ცვეთა და გაუფასურების განაკვეთი გადაფასების თარიღის შემდგომ.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებისთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

მშენებარე აქტივებისა და იმ აქტივებს, რომლებიც არ არიან ექსპლოატაციაში, ცვეთა ერთცხებათ იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის მომხსნურებაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სახარეგებლო მომხსნურების წანგრძლივობის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წლები</u>
შენობები	25
აგეჯი და მოწყობილობები	5
კომპიუტერები და საოფისე მოწყობილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

იჯარით აღებული გაუმჯობესებული აქტივების ამორტიზირება წდება იჯარით აღებული აქტივის სასარგებლო მომსახურების წანგრძლივობის განმავლობაში. აქტივის ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების წანგრძლივობისა და მეთოდების გადასწვება და შესაბამიად კორექტირება წდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებისთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა წდება სწვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თავდაპირველი აღიარებისას არსებული ღირებულებით. ბიზნისის გაერთიანებისას წარმოშობილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს მათი შექმნის თარიღისათვის არსებულ სამართლიან ღირებულებას. აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღიარდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების წანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზირებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების წანგრძლივობის - 5 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში წდება გაუფასურების ინდიკატორის არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადასწვება წდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღრიცხულია წარმოშობისას როგორც ხარჯი.

სელაზლა ფლობილი აქტივები

სელაზლა ფლობილი აქტივები ისეთი აქტივებია, რომელიც მფლობელობის უფლება გადაცემულ იქნა ბანკისათვის რადგან ბანკის მსესხებელთა მიერ არ მომხდარა ბანკისგან მიღებული სესხის დაფარვა. პრაქტიკულად, აღნიშნული აქტივები ბანკის მიერ მიღებულ იქნა მსესხებლებისგან და ისინი განისაზღვრა როგორც იმ სესხის უზრუნველყოფა, რომელიც აღნიშნულმა მსესხებლებმა ბანკისგან მიიღეს.

როდესაც წდება სესხის ჩამოწერა, სესხის უზრუნველყოფის სახით მიღებული შესაბამისი აქტივების გადაცემა ბანკის მფლობელობაში სინცრადდება სასამართლო პროცესის ვაკლით. სელაზლა ფლობილი აქტივების აღიარება ბანკის მიერ წდება მაშინ, როდესაც კანონით ბანკი განდება აღნიშნული აქტივების მფლობელი. წდება სელაზლა ფლობილი აქტივების თავდაპირველი აღიარება და იმ თანხით განსაზღვრა, რომელიც ტოლია შესაბამისი ჩამოწერილი სესხის ამორტიზირებულ ღირებულებისა. ეს არის იმ საფასურის სამართლიანი ღირებულება, რომლითაც მისდა სელაზლა ფლობილი აქტივის მიღება.

შემდგომში, როდესაც ბანკის მიერ წდება სელაზლა ფლობილი აქტივების რეალიზაცია, ნებისმიერი სწვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული საფასურის სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც რეალიზებული მოგება ან ზარალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პერიოდში.

რეზერვები

რეზერვების აღიარება წდება როდესაც ბანკს გააჩნია წარსული მოვლენით გამოწვეული მიმდინარე იურიდიული ვალდებულება და აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად და შესაძლებელია ვალდებულების მოცულობის განსაზღვრა.

საპენსიო და სწვა საკომპენსაციო ვალდებულებები

ბანკს არ გააჩნია რაიმე სახის საპენსიო სქემა, გარდა საქართველოს სახელმწიფო საპენსიო სისტემით გათვალისწინებულისა, რომლის თანახმადაც დამჭირავებული ვალდებულება საპენსიო შენატანი იანგარიშის დადგენილი პროცენტის ოდენობით მიმდინარე დარიცხული სელფისადაც; ამგვარი ხარჯის გადასწვება სათანადო სელფისას გამოიმუშავების პერიოდში. ბანკს არ აქვს მონუცებულობის პენსიები ან სწვა მნიშვნელოვანი საკომპენსაციო ხარჯი, რომელიც საჭიროებს წინასწარ დაგროვებას.

სეგმენტური ანგარიშგება

ბანკის ოპერაციები საკმაოდ კომპლექსურია და ძირითადად მოიცავს ერთ სეგმენტს - ბანკებს, რაც შეადგენს ბანკის ბიზნისის 100%-ს. შესაბამისად ბანკს 14 "ანგარიშგების წარდგენა სეგმენტების მიხედვით"- მიხედვისათვის ბანკი მთავრდება ერთი სეგმენტის მქონე ბიზნისად. ბანკის აქტივები ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოს ტერიტორიაზე წილი მისი მოგების დიდი ნაწილი და წმინდა შემოსავალი გამოიმდინარეობს ოპერაციებიდან საქართველოს ტერიტორიაზე.

(თანხები წარმოდგენილია ათას ლარში)

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის აღიარება **სდება** თავდაპირველი დირეხულებით. საწესდებო კაპიტალი, რომლის შემოტანა **სდება** არაფულადი აქტივების ხაზით, განცხადებულია ამ აქტივების სამართლიანი დირეხულებით შეტანის დღეს. სასაზისო წილი აღიარდება თავდაპირველი დირეხულებით. სასაზისო წილის გაყიდვიდან მიღებული მოგება-ზარალი დაკრედიტებულია დამატებით შემოტანილი კაპიტალის მუხლზე. მიღებული საფასურის სამართლიანი დირეხულების ნებისმიერი ხაზის შეტობა გამოსეკებული წილის ნომინალურ დირეხულებაზე აღიარებულია როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულებები და იქვეთება კაპიტალიდან ბალანსის შედგენის დღეს მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ისინი განცხადებულია ბალანსის შედგენის დღეს ან ბალანსის შედგენის დღემდე პერიოდში. დივიდენდები განცხადებულია, როდესაც **სდება** მათი შეთანხმება ბალანსის შედგენის დღემდე პერიოდში ან ბალანსის შედგენის დღის შემდგომ, თუმცა ვიდრე მონებოდეს ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება.

პრობითი ვალდებულებები

პრობითი ვალდებულებების აღიარება საბალანსო ანგარიშგებაში არ **სდება**, თუმცა **სდება** მათი განცხადება თუ დაფარვასთან დაკავშირებით ფულადი სახსრების გადინება მოსალოდნელია დროის შორ მონაკვეთში. პრობითი აქტივების აღიარება არ **სდება** საბალანსო ანგარიშგებაში, თუმცა **სდება** მათი განცხადება როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება **სდება** დარიცხვითა მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კლიენტებზე გაცემული სესხების საკომისიო გადავადებულია (შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარებულია როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. გასამრჯელო, საკომისიო და სხვა შემოსავალი თუ ხარჯი როგორც წესი აღრიცხულია დარიცხვითა მეთოდით მომსახურების გაწევის შემდგომ. პორტფელი და ხელმძღვანელობის საკონსულტაციო თუ მომსახურების გასამრჯელო აღრიცხულია შესაბამის მომსახურების კონტრაქტებზე დაყრდნობით. საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებული აქტივების მართვის გასამრჯელო აღრიცხულია მომსახურების გაწევის პერიოდში. ანალოგიური პრინციპი ეხება მატერიალური აქტივების მართვას, ფინანსურ დავეგმვასა და დაცვის მომსახურებებს, რაც გრძელდება დროის გრძელვადიანი პერიოდის მანძილზე.

უცხოური ვალუტის კონვერსია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს ბანკის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღრიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული კურსით. ფულადი აქტივები და ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულია ლარში შესაბამისი გაცვლითი კურსით ბალანსის შედგენის დღეს. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღრიცხულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეული მოგება-ზარალი (საკურსო სწავიბები). არაფულადი მუხლები აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში ისტორიული დირეხულებით გადაყვანილია კონვერტაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები აღრიცხული უცხოურ ვალუტაში სამართლიანი დირეხულებით გადაყვანილია იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მონდა სამართლიანი დირეხულების განსაზღვრა.

სვაიბები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სეზ-ს გაცვლით კურსს შორის ჩართულია ვარიაციებში როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი. სეზ-ს ოფიციალური გაცვლითი კურსები 2005 და 2004 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა შესაბამისად 1.7925 და 1.825 ლარს 1 აშშ. დოლართან მიმართებაში.

4. მნიშვნელოვანი საარიცნო შეფასებები და განუსაზღვრელობანი

შეფასების განუსაზღვრელობა

შეფასების განუსაზღვრელობების ძირითად წყაროებთან მიმართებაში ბალანსის შედგენის დღეს, უნდა აღინიშნოს, რომ მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიონ არსებითი კორექტირებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო დირეხულებებში შემდგომი ფისკალური წლის განმავლობაში, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სესხებისა და მოსწონების გაუფასურების რეზერვო

